ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.09.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 014/23

შეკითხვა:

ადვოკატის განმარტებით, კლიენტი არ ითვალისწინებს მის რეკომენდაციებსა და რჩევებს გამოხატავს მის მიმართ უნდობლობას და კლიენტთან არსებული დამოკიდებულება ხელის შემშლელ ფაქტორად მოქმედებს მიმდინარე საქმეზე. ადვოკატს სურს შეწყვიტოს კლიენტთან საადვოკატო მომსახურეობა და აინტერესებს როგორ უნდა მოიქცეს რათა არ დაირღვეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკა.

ანალიზი:

ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე *(„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.15);* კლიენტ-ადვოკატის შეთანხმება ეფუძნება ურთიერთმფარავი ნების გამოვლენას და წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას, სადაც მხარეები ნების ავტონომიით სარგებლობენ და ხელშეკრულების ფასსა და პირობებს თავადვე განსაზღვრავენ.

კლიენტ-ადვოკატის შეთანხმების სამოქალაქო სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ადვოკატს უფლება აქვს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურეობის გაწევაზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები და კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით, ისეთი გარემოებისას, როცა კლიენტს შესაძლებლობა ექნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით.

აქვე მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა ის დოკუმენტი, თუ ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.

დასკვნა:

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატს შეუძლია წერილობითი ფორმით, გონივრული დროით ადრე გააფრთხილოს კლიენტი, დაუბრუნოს საქმესთან დაკავშრებით არსებული დოკუმენტაცია და გამოუმუშავებელი ჰონორარი. საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ხარჯთაღრიცხვა კლიენტს, სურვილის შემთხვევაში, განცხადებით მიმართოს სასმართლოს და აცნობოს, რომ ადვოკატი აღნიშნულ პირს აღარ უწევს საადვოკატო მომსახურეობას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.